

# რემედიაციის პროგრამა მე-3 კლასის

## მათემატიკაში

### ტექსტიანი ამოცანების მიმართულება

#### დანართი

ამ მასალის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. მასალის შინაარსზე პასუხისმგებელია შემდგენელი და იგი არ წარმოადგენს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ მთავრობის აზრს. ეს მასალა მომზადდა აშშ საერთაშორისო განვითარების დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად.



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

**G-PRIED**

Georgia Primary Education Project  
საპარტოვო დაწყებითი განათლების პროექტი



## სარჩევი

სამახსოვრო მასწავლებლებისათვის.....	3
სკრინინგული ტესტირების მონაცემების აღრიცხვა ცხრილის სახით.....	8
ფოკუსირებული ტესტის შედეგების აღრიცხვის ფორმა .....	9
კითხვარები მოსწავლეებისა და მშობლებისთვის.....	10
ფორმა სადიაგნოსტიკო ინტერვიუსთვის.....	14
თემატური გეგმის ნიმუშები.....	18
ინსტრუმენტები მოსწავლეთა შეფასებისთვის .....	28
მოსწავლის პორტფოლიო .....	32
მასწავლებლის მუშაობის შეფასება .....	39
ინტერვენციების შეფასება .....	41
სქემა დანერგვისთვის .....	45
პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა .....	46
კვლევის დღიური – კვლევის პროცესის მეგზური .....	49
შესავსები ცხრილი კვლევისთვის.....	52
საორიენტაციო კითხვები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს კვლევის გაზიარების რეფლექსია და საკითხები, რომლებსაც უნდა მოიცავდეს რეფლექსია.....	55
პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში .....	56
გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი .....	62

## სამახსოვრო მასწავლებლებისათვის

მასწავლებელთა აქტივობა	მიზანი	რესურსი
<b>პროგრამის დასაწყის ეტაპზე</b>		
ტრენინგებში /სამუშაო შეხვედრებში აქტიური მონაწილეობის მიღება		
სკრინინგული ტესტების გენერირება	სამიზნე ჯგუფის კანდიდატების განსაზღვრისთვის მასალების შერჩევა	პორტალის მასალები
ფოკუსირებული ტესტის გაცნობა	სამიზნე ჯგუფის განსაზღვრისთვის მასალების გაცნობა	პროექტის სატრენინგო მასალები
ტესტირებისა და სადიაგნოსტიკო ინტერვიუების ჩატარების გრაფიკის შედგენა და პროგრამის ექსპერტ-კოსულტანტებისათვის ინფორმაციის მიწოდება დირექციის მეშვეობით,	რემედიაციული საქმიანობის დაგეგმვა	სკოლის აკადემიური კალენდარი
სკრინინგული ტესტირების ჩატარება	სამიზნე ჯგუფის განსაზღვრა,	სკრინინგული ტესტები
ფოკუსირებული ტესტირების ჩატარება	მოსწავლეთა უნარიანობის ხარვეზების დაზუსტება, მასშტაბების გარკვევა	ფოკუსირებული ტესტები
დიაგნოსტიკური ინტერვიუ მოსწავლესთან	მოსწავლეთა უნარიანობის ხარვეზების დაზუსტება,	ინტერვიუს გეგმა

	მასშტაბებისა და გამომწვევი მიზეზების განსაზღვრა, მოსწავლის პრობლემების გამოკვლევა; ინდივიდუალური პროფილის განსაზღვრა	
ინტერვიუ მშობელთან	მოსწავლის ინდივიდუალური პროფილის განსაზღვრა	ინტერვიუს გეგმა
ჩატარებული კვლევების საფუძველზე მოსწავლეთა პრობლემების დადგენა	იმ პრობლემების იდენტიფიცირება, რამაც განაპირობა მოსწავლეთა ცოდნაში ხარვეზების წარმოქმნა	მოსწავლეთა ნამუშევრები, ინტერვიუების ჩანაწერები
ცნობილი კრიტერიუმების მიხედვით პროგრამაში მონაწილე მოსწავლეების შერჩევა		
<b>ინტერვენციების დაგეგმვა</b>		
მოსწავლეთათვის განკუთვნილი სავარჯიშოთა პაკეტისა და მასწავლებლებისთვის შესაბამისი ინსტრუქციების, აგრეთვე პროგრესის მონიტორინგის ინსტრუმენტებისა და მათი გამოყენების ინსტრუქციების შესწავლა,	მზადება რემედიაციული პროგრამის განსახორციელებლად	პროექტის მიერ მომზადებული მასალები

მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით აქტივობების შერჩევა	ეფექტური რემედიაციული საქმიანობის წარმართვა	მოსწავლეთა პორტფოლიოები, სავარჯიშოთა პაკეტები
თვითეული მოსწავლის სასწავლო პროფილის გათვალისწინებით რესურსების შერჩევა	ეფექტური რემედიაციული საქმიანობის წარმართვა	მოსწავლეთა პორტფოლიოები, სავარჯიშოთა პაკეტები
<b>ყოველი რემედიაციული გაკვეთილის დაწყებამდე</b>		
სასწავლო რესურსების შერჩევა ( კონკრ. გაკვეთილისთვის)	რემედიაციული გაკვეთილისათვის მზადება, მისი დაგეგმვა	აქტივობების კრებული, სასწავლო თვალსაჩინოებები
გაკვეთილის ორგანიზების ფორმების შერჩევა	მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებებისა და საჭიროების გათვალისწინებით	
მოსწავლეებზე დაკვირვების ფორმის შერჩევა		მზა დაკვირვების ფორმები- ჟურნალი/ დაკვირვების დღიური
მოსწავლეთა თვითშეფასების ფორმის შერჩევა		მზა შეფასების ფორმები
<b>გაკვეთილის პროცესში</b>		
მეცადინეობებზე მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვა	რემედიაციული გაკვეთილის ეფექტიანად წარმართვა,	ჟურნალი/ დაკვირვების დღიური
მოსწავლეებზე დაკვირვება/ ჩანაწერების გაკეთება	მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგის	ჟურნალი/ დაკვირვების დღიური
საჭიროებიდან გამომდინარე , საგაკვეთილო პროცესში კორექტივების შეტანა	შეფასებისათვის მასალების შეგროვება	

<b>გაკვეთილის შემდგომ</b>		
ჩატარებული გაკვეთილის მოკლე ანალიზი, თვითშეფასება (წერილობითი ფორმით არაა სავალდებულო)	გაკვეთებული დასკვნების მიხედვით მომზადება მომავალი გაკვეთილისთვის.	
შენიშვნების გაკეთება რემედიაციის პროგრამის აქტივობათა კრებულში	მოსწავლის პროგრესის ზედამხედველობა; რემედიაციის პროგრამის დახვეწა	აქტივობათა კრებული
მოსწავლეთა პორტფოლიოების წარმოება	საკუთარი პრაქტიკის კვლევის მასალების მოგროვება	მოსწავლის ნამუშევრები, თვითშეფასებები და შეფასების ფურცლები, გასასვლელი ბარათ.
<b>პერიოდულად</b>		
შეხვედრა მშობელთან	მოსწავლის პროგრესის მონიტორინგი	ჟურნალი/დაკვირვების დღიური
მოსწავლეთა ძირითად (საკლასო) მასწავლებლებთან თანამშრომლობა	საჭიროების შემთხვევაში ინტერვენციაში კორექტივების შეტანა	მოსწავლის პორტფოლიო
შეხვედრა პროგრამაში ჩართულ მასწავლებლებთან	გამოცდილებების გაზიარება	სწავლის პორტფოლიო, ჟურნალი/ჩანაწერების დღიური.

<p>მუშაობისას გაჩენილი კითხვებისა თუ სხვა მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებულ საკითხებზე პროგრამის ფსიქოლოგსა და ექსპერტ-კონსულტანტებთან შეხვედრა/ კონსულტაცია</p>	<p>რემედიაციული სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა, ინტერვენციის შედეგების ანალიზსა და ინტერვენციის საკორექციო რეკომენდაციების შემუშავება</p>	<p>მოსწავლის პორტფოლიო, ჟურნალი/ჩანაწერების დღიური.</p>
<p>რეაგირება მოსწავლეთა უკუკავშირზე</p>		<p>მოსწ-თათვითშეფასების ფურცლები/გასასვლელი ბარათები</p>
<p>საკუთარი ჯგუფის მოსწავლეთა პორტფოლიოებიდან ყველაზე სრულყოფილად შევსებულის შერჩევა და ჯიპრაიდის ოფისში გაგზავნა სკანირებული ან ქსეროასლის სახით</p>	<p>ტრენინგის მეოთხე დღის სესიის მასალის მომზადება ექსპერტ-კონსულტანტების მიერ</p>	<p>ჯგუფიდან თითო მოსწავლის პორტფოლიო</p>
<p><b>პროგრამის დასრულებისას</b></p>		
<p>ჩატარებული სამუშაოსა და შედეგების ანალიზი, ანგარიში</p>	<p>რემედიაციის მოდელისთვის დასრულებული სახის მიცემა</p>	<p>მოსწავლეთა პორტფოლიოები, ჩანაწერების დღიური, მასწავლებელთა რეფლექსიები</p>
<p>კვლევის დოკუმენტირება</p>		

## სკრინინგული ტესტირების მონაცემების აღრიცხვა ცხრილის სახით

მოსწავლის ნომერი	მაქსიმალური შესაძლო ქულა სკრინინგულ ტესტში	მოსწავლის მიერ აღებული ჯამური ქულა	5 ტექსტიან ამოცანაში მაქსიმალური შესაძლო ქულა	5 ტექსტიან ამოცანაში მოსწავლის მიერ აღებული ჯამური ქულა
1.				
2.				





## კითხვარები მოსწავლეებისა და მშობლებისთვის

### ინსტრუმენტები მოსწავლეთა ინტერესების სფეროების გარკვევისთვის

ქვემოთ მოყვანილია ინსტრუმენტები მოსწავლეთა ინტერესების სფეროების გარკვევისთვის.

### ინტერესების კითხვარი დაწყებითი კლასებისთვის

სახელი და გვარი \_\_\_\_\_

1. რა არის შენი ჰობი? რა დროს უთმობ მას?
2. რომელია შენი საყვარელი სატელევიზიო შოუ? რატომ?
3. გვიამბე, სად და როგორ ისურვებდი არდადეგების გატარებას, ან სად გაატარე არდადეგები.
4. რომელია შენი საყვარელი სასკოლო აქტივობა და რატომ?
5. ვინ გინდა გამოხვიდე, როცა გაიზრდები?
6. როგორი წიგნები და ჟურნალები მოგწონს?
7. დადიხარ თუ არა სპორტის რომელიმე სახეობაზე ან საგნობრივ წრეზე? რომელზე?
8. როდის გაქვს თავისუფალი დრო შინ და ამ დროს რისი გაკეთება გიყვარს?
9. რა არის ის ერთადერთი რამ, რასაც ყველაზე კარგად აკეთებ?
10. ვისთან მეგობრობ? რატომ მაინცდამაინც მათთან?
12. კიდევ რა არის ისეთი, რაც მნიშვნელოვანია, რომ ხალხმა შენს შესახებ იცოდეს?

## მშობლების მიერ შესავსები მოსწავლეთა ინტერესების კითხვარი

ძვირფასო მშობლებო,

ამ ნუსხის დანიშნულება თქვენი ბავშვის ინტერესების შესახებ ნათელი სურათის შექმნაა, რათა ეს ინფორმაცია სასწავლო წლის მანძილზე მათი სწავლის ხელშესაწყობად გამოვიყენოთ. მადლობას გიხდით ამ კითხვარის შევსებისათვის. გთხოვთ, მიაწოდოთ სკოლას \_\_\_\_\_-მდე.

პატივისცემით,

- 
1. რომელია თქვენი ბავშვის საყვარელი საგანი სკოლაში?
  2. ყველაზე მეტად რომელი საგანი არ უყვარს?
  3. რით ინტერესდება სკოლის გარეთ?
  4. რომელი სატელევიზიო პროგრამები, კინოფილმები და წიგნები აინტერესებს?
  5. როდესაც თავისუფალი დრო აქვს, რას აკეთებს-ხოლმე?
  6. რომელი პროფესიის მიმართ გამოუხატავს ინტერესი?
  7. რისი სწავლა უყვარს?
  8. კიდევ რისი თემა შეგიძლიათ თქვენი ბავშვის ინტერესების შესახებ და იმის თაობაზეც, როდის სწავლობს ყველაზე კარგად?
  9. რომელი ორი სიტყვა აღწერს თქვენ ბავშვს ყველაზე ზუსტად?

---

ბავშვის სახელი და გვარი

მშობლის სახელი და გვარი

## სასწავლო პროფილის წინასწარი შეფასება

<b>სასწავლო პროფილის განმსაზღვრელი კითხვარი: როგორ გირჩევნიათ სწავლა?</b>		
1. სიჩუმეში უკეთესად ვსწავლობ.	— დიახ	— არა
2. შემძლია მუშაობისას სხვების საუბარს ყურადღება არ მივაქციო	— დიახ	— არა
3. მაგიდასთან ან მერხთან მუშაობა მირჩევნია.	— დიახ	— არა
4. იატაკზე მუშაობა მირჩევნია.	— დიახ	— არა
5. მარტო უკეთ ვმუშაობ.	— დიახ	— არა
6. მშობლებთან ან მასწავლებელთან უკეთ ვმუშაობ.	— დიახ	— არა
7. დავალებაზე ვიმუშავებ ბოლომდე, რაც არ უნდა მოხდეს.	— დიახ	— არა
8. ზოგჯერ სამუშაო მდლის და მას არ ვასრულებ.	— დიახ	— არა
9. როდესაც მასწავლებელი დავალებას მაძლევს, მირჩევნია მქონდეს მკაფიოდ გაწერილი გეგმა, რა და როგორ უნდა გავაკეთო.	— დიახ	— არა
10. როდესაც მასწავლებელი დავალებას მაძლევს, მირჩევნია ის ჩემივე გეგმით შევასრულო.	— დიახ	— არა
11. მარტო მუშაობა მირჩევნია.	— დიახ	— არა
12. წყვილებში ან ჯგუფური მუშაობა მირჩევნია.	— დიახ	— არა
13. მირჩევნია დავალებაზე სამუშაოდ დრო განსაზღვრული არ მქონდეს.	— დიახ	— არა
14. მირჩევნია დავალებაზე სამუშაოდ მკაცრად განსაზღვრული დრო მქონდეს.	— დიახ	— არა
15. მირჩევნია ვისწავლო პრაქტიკული მუშაობის/კეთების პროცესში.	— დიახ	— არა
16. მირჩევნია ვისწავლო აზრების გაფიქრებით მეცადინეობის პროცესში.	— დიახ	— არა

## მშობლების კითხვარის ნიმუში

ძვირფასო მშობლებო,

ამ კითხვარის დანიშნულება თქვენი ბავშვის სასწავლო მიდრეკილებების შესახებ ისეთი ინფორმაციის მიღებაა, რასაც მიმდინარე სასწავლო წელს მისი წინსვლისთვის გამოვიყენებთ.

მადლობას გიხდით ამ კითხვარის შევსებისათვის. გთხოვთ, მიაწოდოთ სკოლას არაუგვიანეს \_\_\_\_\_-სა.

პატივისცემით,

---

რომელი სახის აქტივობას ანიჭებს უპირატესობას თქვენი ბავშვი? მონიშნეთ ყველა საჭირო გრაფა:

- |  |  |
|--|--|
| <input type="checkbox"/> ვერბალური         | <input type="checkbox"/> ლოგიკური/მათემატიკური         |
| <input type="checkbox"/> მუსიკა            | <input type="checkbox"/> ფიზიკური აქტივობა             |
| <input type="checkbox"/> აქტივობა ბუნებაში | <input type="checkbox"/> თავსატეხები/ლაბირინთები/ხაზვა |
| <input type="checkbox"/> მარტო მუშაობა     | <input type="checkbox"/> მუშაობა სხვებთან ერთად        |

1. რომელია თქვენი ბავშვის საყვარელი საგანი სკოლაში?
2. რომელი საგანი არ უყვარს ყველაზე მეტად?
3. რა აინტერესებს სკოლის გარეთ?
4. როდესაც თავისუფალი დრო აქვს, რა საქმიანობას ანიჭებს უპირატესობას?
5. რა პროფესიის მიმართ გამოუხატავს ინტერესი?
6. აღწერეთ, როგორ/როდის სწავლობს ყველაზე უკეთ (წყნარ ადგილას, სხვებთან ერთად, საუბრისას და ა.შ.)
7. კიდევ რისი თქმა შეგიძლიათ თქვენი ბავშვის შესახებ?
8. რომელი ორი სიტყვა აღწერს ყველაზე უკეთ თქვენი ბავშვის სწავლას?

## ფორმა სადიაგნოსტიკო ინტერვიუსთვის

სკოლის დასახელება:

მოსწავლის სახელი და გვარი:

ინტერვიუერი მასწავლებლები:

განხილული ამოცანის ნომერი:

ინტერვიუერი მასწავლებლის შეკითხვები	მოსწავლის პასუხები	შენიშვნა	ინდიკატორი

განხილული ამოცანის ნომერი:

ინტერვიუერი მასწავლებლის შეკითხვები	მოსწავლის პასუხები	შენიშვნა	ინდიკატორი

განხილული ამოცანის ნომერი:

ინტერვიუერი მასწავლებლის შეკითხვები	მოსწავლის პასუხები	შენიშვნა	ინდიკატორი

განხილული ამოცანის ნომერი:

ინტერვიუერი მასწავლებლის შეკითხვები	მოსწავლის პასუხები	შენიშვნა	ინდიკატორი

განხილული ამოცანის ნომერი:

ინტერვიუერი მასწავლებლის შეკითხვები	მოსწავლის პასუხები	შენიშვნა	ინდიკატორი

განხილული ამოცანის ნომერი:

ინტერვიუერი მასწავლებლის შეკითხვები	მოსწავლის პასუხები	შენიშვნა	ინდიკატორი

ინტერვიუს ჩატარების დრო:

განხილული ამოცანების რაოდენობა:

ინტერვიუს ჩატარების ხანგრძლივობა წუთებში:



დანართი: თითოეული ამოცანის შესრულების ინდიკატორები

1. მოსწავლის დამოკიდებულება დავალებისადმი:

- 1.1 თამამად შეეჭიდა დავალებას და ერთი ნაბიჯი მაინც გადადგა დამოუკიდებლად;
- 1.2. მას შემდეგ, რაც ხელახლა წაიკითხა და გაიაზრა, ამოცანა დამოუკიდებლად ამოხსნა;
- 1.3. თამამად შეეჭიდა დავალებას, თუმცა საწყის ეტაპზე დასჭირდა მასწავლებლის დახმარება; ეყო სკაფოლდინგის ერთი საფეხური;
- 1.4. არ შეეცადა ამოხსნის დაწყება ან მომდევნო ნაბიჯის გადადგმა დამოუკიდებლად, (ყოყმანობდა და ელოდა მასწავლებლის მინიშნებას ან წახალისებას); დასჭირდა სკაფოლდინგის რამდენიმე საფეხური;
- 1.5. უარი თქვა ამოხსნის მცდელობაზე ამოცანის ტექსტის თვალის გადავლებისთანავე.

2. დავალების შესრულებასთან დაკავშირებული შეფერხების მიზეზ(ებ)ი:

- 2.1. არსებითი პრობლემა იყო ამოცანის ტექსტის სიდიდე; ამოცანის ტექსტის გააზრება გაუჭირდა მხოლოდ მისი დამოუკიდებლად წაკითხვისას;
- 2.2. არსებითი პრობლემა იყო ამოცანის ტექსტის სიდიდე; ამოცანის ტექსტის გააზრება გაუჭირდა მასწავლებლის მიერ მისი სათანადო ინტონაციით წაკითხვისასაც;
- 2.3. გაუჭირდა ტექსტში მოცემული მათემატიკური ტერმინების გააზრება;
- 2.4. გაუჭირდა ტექსტში ვერბალურად მოცემული ვითარების წარმოდგენა; ანდა სქემის (დიაგრამის, ნახაზის, ...) მომზადება;
- 2.5. გაუჭირდა არითმეტიკულ მოქმედებათა მისადაგება; ანდა რიცხვითი გამოსახულების/ტოლობის შედგენა;
- 2.6. ვერ ამოხსნა ამოცანა მანიპულატივების მიშველების დროსაც კი;
- 2.7. გაუძნელდა მხოლოდ კომპლექსური, მრავალსვლიანი ამოცანის ამოხსნა.

## თემატური გეგმის ნიმუშები ნიმუში 1

სსიპ ქალაქ ..... №X საჯარო სკოლა

რემედიაციის გაკვეთილების თემატურ - კალენდარული გეგმა

რემედიატორი მასწავლებელი :

XXXXXXXXXX

ბაკვ. №	თემის დასახელება	პარაგრაფის №	თარიღი	მიზანი	რესურსი	შენიშვნა
1	მიმატების ამოცანების წაკითხვა და გააზრება. მიმატების სავარჯიშო „აირჩიეთ შეკითხვა“		24.10.20 17 წ.	მოსწავლემ შეძლოს ამოცანის პირობის წაკითხვა სათანადო ინტონაციით, გაიაზროს პირობა და მიუსადაგოს შესაბამისი მოქმედება ან შეკითხვა ისე, რომ მიიღოს მიმატების ამოცანა	დავალბის ბარათები , მანიპულ ატივები, ფერადი ფანქრები	
2	მიმატების სავარჯიშო „მოიგონეთ შეკითხვა“		26.10.20 17 წ.	მოსწავლემ შეძლოს ამოცანის პირობის სწორად გააზრება და ისეთი შეკითხვის მოფიქრება რომ მიიღოს მიმატების ამოცანა	დავალბის ბარათები , მანიპულ ატივები, ფერადი ფანქრები	
3	გამოკლების ამოცანების წაკითხვა და გააზრება		27.10.20 17წ.	მოსწავლემ შეძლოს ამოცანის პირობის წაკითხვა სათანადო ინტონაციით, გაიაზროს პირობა და მიუსადაგოს შესაბამისი მოქმედება ან შეკითხვა ისე, რომ მიიღოს გამოკლების ამოცანა	დავალბის ბარათები , მანიპულ ატივები, ფერადი ფანქრები	
4	„-ით მეტობა/ნაკლებობა“ ერთმოქმედებიან საყოფაცხოვრებო ამოცანებში.		31.10.20 17წ.	მოსწავლემ შეძლოს „-ით მეტობა/ნაკლებობა“ სწორად გამოიყენოს ერთმოქმედებიან საყოფაცხოვრებო ამოცანებში . გაიაზროს რომ „-ით მეტობა/ნაკლებობა“ ყოველთვის არ ნიშნავს მიმატებას/ გამოკლებას	დავალბის ბარათები , მანიპულ ატივები, ფერადი ფანქრები	

5	„-ით მეტობა/ნაკლებობა“ მცირედ გართულებულ ერთმოქმედებიან საყოფაცხოვრებო ამოცანებში		02.11.20 17წ.	მოსწავლემ შეძლოს „-ით მეტობა/ნაკლებობის“ გამოიყენება მცირედ გართულებულ ერთმოქმედებიან საყოფაცხოვრებო ამოცანებში .	დავალბის ბარათები , მანიპულ ატივები, ფერადი ფანქრები	
6	ერთმოქმედებიანი ამოცანების ამოხსნა სქემის გამოყენებით. ერთმოქმედებიანი ამოცანები მანძილსა ან მოძრაობაზე, რომელთა ამოსახსნელად საჭიროა ერთი ერთეულით გაზომილ მანძილთა შეკრება-გამოკლება		03.11.20 17წ.	მოსწავლემ შეძლოს ამოცანის პირობის სქემაზე გადატანა , ამ სქემიდან ამოცანის სრული პირობის აღდგენა და ამოცანის ამოხსნა	დავალბის ბარათები , მანიპულ ატივები, ფერადი ფანქრები	
7	სქემის გამოყენება ერთმოქმედებიანი ამოცანების ამოსახსნელად		07.11.20 17 წ.	მოსწავლემ შეძლოს ამოცანის პირობის სქემაზე გადატანა , ამ სქემიდან ამოცანის სრული პირობის აღდგენა და ამოცანის ამოხსნა	დავალბის ბარათები , მანიპულ ატივები, ფერადი ფანქრები	
8	ამოცანის შესაბამისი გამოსახულება		09.11.20 17 წ.	მოსწავლემ შეძლოს ამოცანის პირობის სწორად გააზრება და მოცემული სავარაუდო პასუხებიდან შესაბამისი სწორი გამოსახულების შერჩევა	დავალბის ბარათები , მანიპულ ატივები, ფერადი ფანქრები	
9	შებრუნებულად მოცემული ამოცანები		10.11.20 17 წ.	მოსწავლემ შეძლოს შებრუნებულად მოცემულ ამოცანებში სათანადო მოქმედების სწორად მისადაგება	დავალბის ბარათები , მანიპულ ატივები, ფერადი ფანქრები	

10	ამოცანის აწყობა		14.11.20 17 წ.	მოსწავლემ შეძლოს ამოცანის დაშლილი ნაწილებიდან სწორად შეარჩიოს და ააწყოს ამოცანის პირობა, გაიაზროს და დაშლილი სახით მოცემული ამოხსნები სწორად მიუსადაგოს	დავალეზის ბარათები , მანიპულ ატივეები, ფერადი ფანქრები	
11	ამოცანის პირობის აწყობა და ამოხსნა		16.11.20 17 წ.	მოსწავლემ შეძლოს არეულად დალაგებული დაჭრილი ფრაზები თანმიმდევრობით ისე დაალაგოს რომ ამოცანა გამოვიდეს. ააწყოს ამოცანის პირობა, გაიაზროს და ამოხსნები სწორად მიუსადაგოს	დავალეზის ბარათები , მანიპულ ატივეები, ფერადი ფანქრები	
12	ამოცანის პირობის გათამაშება და შედგენა		17.11.20 17 წ.	მოსწავლემ შეძლოს მუნჯურად გათამაშებული მოქმედებიდან ამოცანის პირობის შედგენა და სწორად ამოხსნა.	დავალეზის ბარათები , მანიპულ ატივეები, ფერადი ფანქრები	
13	პასუხი რიცხვია თუ არა? ამოარჩიეთ ის ამოცანები, რომლების პასუხი არაა რიცხვი. როგორი პასუხი შეესაბამება შეკითხვას?		21.11.20 17 წ.	მოსწავლემ შეძლოს ამოცანის პირობის სწორად გააზრება და შეკითხვებიდან გამომდინარე იმის დადგენა როგორი პასუხი შეესაბამება	დავალეზის ბარათები , მანიპულ ატივეები, ფერადი ფანქრები	
14	ამოცანის შედგენა დასაწყისით		24.11.20 17 წ.	მოსწავლემ შეძლოს ამოცანის დასაწყისით სხვადასხვა ტიპის ამოცანების შედგენა	დავალეზის ბარათები , მანიპულ ატივეები, ფერადი ფანქრები	
15	ამოცანის შედგენა მოცემული ერთი სიტყვით. ამოცანის შედგენა მოცემული სამი სიტყვით.		28.11.20 17 წ.	მოსწავლემ შეძლოს ჯერ ერთი, შემდეგ კი სამი სიტყვით სხვადასხვა ტიპის ამოცანების შედგენა.	დავალეზის ბარათები , ფერადი ფანქრები	

16	ამოცანის შედგენა მოცემული პასუხით		30.11.20 17 წ.	მოსწავლემ შეძლოს სხვადასხვა ტიპის პასუხების შესაბამისად ამოცანის პირობების მისადაგება	დავალების ბარათები , მანიპულ ატივები, ფერადი ფანქრები	
17	ერთერთი უცნობი შესაკრების მოძებნა ნივთებზე მოქმედებისას		01.12.20 17 წ.	მოსწავლემ შეძლოს ერთ ერთი უცნობი კომპონენტის მოძებნა ნივთებზე მოქმედებებისას	დავალების ბარათები , მანიპულ ატივები, ფერადი ფანქრები, კუბიკები	
18	ერთერთი უცნობი შესაკრების მოძებნა ტექსტიან ამოცანებში		05.12.20 17 წ.	მოსწავლემ შეძლოს ერთ ერთი უცნობი შესაკრების მოძებნა ამოცანებში	დავალების ბარათები , მანიპულ ატივები, ფერადი ფანქრები	

## ნიმუში 2

სსიპ ქალაქ XXXXXX საჯარო სკოლა

რემედიაციონი მასწავლებელი: XXXXXXXXXXXX

სარემედიაციო პროგრამის განხორციელების საფეხურები

2017-2018 სასწ.წელი

<b>I. მოსწავლეთა შერჩევა სარემედიაციო პროგრამაში ჩასართავად</b>			
№	დიაგნოსტიკის ინსტრუმენტი	თარიღი	შენიშვნა
1.	სკრინინგული ტესტირება	21.09.2017	<p>მონაწილეობდა მე-3 კლასის 50 მოსწავლე.</p> <p>(მათგან შეირჩა 23 მოსწავლე, რომელთაც ჰქონდათ მიღებული 50-90 %)</p>
2.	ფოკუსირებული ტესტირება	02.10.2017	<p>ჩაუტარდა 12 მოსწავლეს</p> <p>(შეირჩა 23 მოსწავლიდან, რომელთაც სკრინინგული ტესტის შედეგად ჰქონდათ შედარებით დაბალი შედეგები 5 ტესტიან ამოცანაში)</p>
3.	ზეპირი დიაგნოსტიკური ინტერვიუ	11.10. – 13.10. 2017	ჩაუტარდა 12 მოსწავლეს
4.	სარემედიაციო ჯგუფების დაკომპლექტება	16.10.2017	<p>ინტერვიუს შემდეგ შეირჩა 10 მოსწავლე, რომლებიც განაწილდა 2 ჯგუფად.</p> <p>მშობლებთან შეთანხმებით შედგა სამოქმედო გეგმა.</p>
<b>II. სარემედიაციო გაკვეთილების თემატურ - კალენდარული გეგმა</b>			
№	გაკვეთილის თემა	თარიღი	შენიშვნა
1.	მატება-კლება სურათებზე.	24.10.2017	

	გამოკლების სახატავ-სახაზავი სავარჯიშოები.		
2.	მატება-კლება სურათებზე.  შეკრება და თან გამოკლება სურათებზე.	26.10.2017	
3.	შეკრება და თან გამოკლება სურათებზე	27.10.2017	
4.	მიმატების ამოცანების წაკითხვა და გააზრება	31.10.2017	
5	მიმატების სავარჯიშო „აირჩიეთ შეკითხვა“;  მიმატების სავარჯიშო „მოიგონეთ შეკითხვა“.	02.11.2017	
6.	„-ით მეტობა/ნაკლებობა“ ერთმოქმედებიან საყოფაცხოვრებო ამოცანებში;  „-ით მეტობა/ნაკლებობა“ მცირე გართულებულ ერთმოქმედებიან საყოფაცხოვრებო ამოცანებში.	03.11.2017	
7.	გამოკლების ამოცანების წაკითხვა და გააზრება.	07.11 2017	
8.	გამოკლების სავარჯიშო „მოიგონეთ შეკითხვა“	09.11 2017	
9.	რაოდენობათა შეფასება და შედარება	10.11 2017	
10.	ერთმოქმედებიანი ამოცანები მანძილს ან მოძრაობაზე, რომელთა ამოსახსნელად საჭიროა ერთი ერთეულით გაზომილ მანძილთა შეკრება.	14.11.2017	
11.	ერთმოქმედებიანი ამოცანები მანძილს ან მოძრაობაზე, რომელთა ამოსახსნელად საჭიროა ერთი ერთეულით გაზომილ მანძილთა გამოკლება.	16.11.2017	

12.	სქემის გამოყენება ერთმოქმედებიანი ამოცანების ამოსახსნელად.	17.11.2017	
13.	ამოცანის შესაბამისი გამოსახულება	21.11.2017	
14.	შებრუნებულად მოცემული ამოცანები	24.11.2017	
15.	ამოცანის აწყობა . ამოცანის პირობის აწყობა და ამოხსნა	28.11 2017	
16.	ამოცანის პირობის გათამაშება და შედგენა.	30.11.2017	
17.	პასუხი რიცხვია თუ არა?	01.12.2017	
18.	როგორი პასუხი შეესაბამება შეკითხვას?	05.12.2017	



### ნიმუში 3

#### რემედიაციის პროგრამის სამოქმედო გეგმა

მასწავლებელი : XXXXX

N	აქტივობები	თემა	თარიღი	შენიშვნა
1	ტესტირება	სკრინინგული ტესტის ჩატარება-ანალიზი	21/IX	მონაწილეობდა III კლასის 78 მოსწავლე
2	ტესტირება	ფოკუსირებული ტესტის ჩატარება-ანალიზი	3/X	მონაწილეობდა 25 მოსწავლე
3	შეხვედრა მოსწავლეებთან	მოსწავლეთა ინფორმირება; მოსწავლის კითხვარის შევსება	10/X	9 მოსწავლე
4	შეხვედრა მშობლებთან	მშობელთა ინფორმირება; მშობელთა კითხვარის შევსება	16/X	9 მშობელი
5	ინტერვიუ	ზეპირი ინტერვიუები მოსწავლეებთან	17-18/X	
6	გაკვეთილი N1	„-ით მეტობა-ნაკლებობა &6	23/X	
7	გაკვეთილი N2	„-ით მეტობა-ნაკლებობა &6	24/ X	
8	გაკვეთილი N3	უმარტივესი საყოფაცხოვრებო ამოცანები რაოდენობის მომატებაზე	27/ X	
9	გაკვეთილი N4	უმარტივესი საყოფაცხოვრებო ამოცანები რაოდენობის გამოკლებაზე	30/ X	

10	გაკვეთილი N5	რამდენითაა მეტი/ნაკლები	31/XI	
11	გაკვეთილი N6	ამოცანების გააზრება	3/XI	
12	გაკვეთილი N7	მიმატების სავარჯიშო „აირჩიეთ შეკითხვა“; დასვი შეკითხვა	6/XI	
13	გაკვეთილი N8	-ით მეტობა / ნაკლებობა ამოცანებში	7/XI	
14	გაკვეთილი N9	„-ით მეტობა/ნაკლებობა“ მცირედ გართულებულ ერთმოქმედებიან საყოფაცხოვრებო ამოცანებში	10/XI	
15	გაკვეთილი N10	გამოკლების ამოცანების წაკითხვა და გააზრება	13/XI	
16	გაკვეთილი N11	გამოკლების სავარჯიშო მოიგონეთ შეკითხვა რაოდენობათა შეფასება და შედარება	14/XI	
17	გაკვეთილი N12	რაოდენობათა შედარება და სივრცითი მიმართებები სურათზე.	17/XI	
18	გაკვეთილი N13	ერთმოქმედებიანი ამოცანები მანძილსა ან მოძრაობაზე, რომელთა ამოსახსნელად საჭიროა ერთი ერთეულით გაზომილ მანძილთა შეკრება	20/XI	
19	გაკვეთილი N14	ერთმოქმედებიანი ამოცანები მანძილსა ან მოძრაობაზე, რომელთა ამოსახსნელად საჭიროა ერთი ერთეულით	21/XI	

		გაზომილ მანძილთა გამოკლება.		
20	გაკვეთილი N15	სქემის გამოყენება ერთოქმედებიანი ამოცანების ამოსახსნელად	24/XI	
21	გაკვეთილი N16	ამოცანის შესაბამისი გამოსახულება	27/XI	
22	გაკვეთილი N17	შებრუნებული ამოცანები.	28/XI	
23	გაკვეთილი N18	ამოცანის აწყობა	1/XII	

## ინსტრუმენტები მოსწავლეთა შეფასებისთვის

### ჯგუფზე დაკვირვების სააღრიცხვო ცხრილი

თარიღი \_\_\_\_\_ მასწავლებლის სახელი \_\_\_\_\_

რომელ აქტივობაზე ჩატარდა დაკვირვება \_\_\_\_\_

მოსწავლეთა გვარები	ამოცანის პირობის წაკითხვა და სათანადო ინტონაციით	ამოცანის ტექსტის გააზრება და სტრუქტურის შეცნობა	ტექსტებში ვერბალურად მოცემული ვითარების თვალსაჩინოდ წარმოდგენა (მანიპულაციები, სქემა, მოკლე ჩანაწერები)	არითმეტიკულ მოქმედებათა მისადაგება ამოცანისთვის	ერთსვლიანი ამოცანების ამოხსნა	კომპლექსური მრავალსვლიანი ამოცანების ამოხსნისთვის თანმიმდევრული ბიჯების შესრულება	დამატებითი შენიშვნები

მოსწავლის მათემატიკური მზაობის სააღრიცხვო ცხრილი

მოსწავლის სახელი \_\_\_\_\_ მასწავლებლის სახელი \_\_\_\_\_

კვირები	კვირა 1	კვირა 2	კვირა 3	კვირა 4	კვირა 5	კვირა 6
ამოცანის პირობის წაკითხვა ზუსტად და სათანადო ინტონაციით						
ამოცანის ტექსტის გააზრება და სტრუქტურის შეცნობა						
ტექსტებში ვერბალურად მოცემული ვითარების თვალსაჩინოდ წარმოდგენა (მანიპულატივები, სქემა, მოკლე ჩანაწერები)						
არითმეტიკულ მოქმედებათა მისადაგება ამოცანისთვის						
ერთსვლიანი ამოცანების ამოხსნა						
კომპლექსური მრავალსვლიანი ამოცანების ამოხსნისთვის თანმიმდევრული ბიჯების შესრულება						
დამატებითი შენიშვნები						

## გასასვლელი ბარათი

1. გაიხსენე ეს გაკვეთილი. რა მოგეწონა ყველაზე მეტად? რამ დაგაინტერესა?
2. რა გეადვილა ყველაზე მეტად?
3. რა გაგიძნელდა?
4. ამ ძნელ საკითხში რა შეიძლება შეეშალოს ბავშვს?
5. როგორ აუხსნიდი მას შეცდომას?
6. დამატებით კიდევ რა გაინტერესებს? რამის ხელახლა განხილვა ან გარკვევა გჭირდება? რისა?

**რუბრიკა მოსწავლეთა თვითშეფასებისთვის და მეტაკოგნიციის  
ფასილიტაციისთვის**

კრიტერიუმები	მიძნელდება, ხშირად მეშლება	ზოგჯერ ცოტა მიჭირს, მაგრამ უფრო ხშირად უშეცდომოდ ვაკეთებ	ვაკეთებ კარგად და ადვილად
ამოცანის ტექსტიდან გამოვყავი შეკითხვა			
ამოციანი მნიშვნელოვანი ინფორმაცია: მთავარი სიტყვები და რიცხვითი მონაცემები			
შევარჩიე ამოცანის ამოხსნის ხერხი: დავსვი შეკითხვები, შევადგინე რიცხვითი გამოსახულება, დავხაზე სქემა ან ნახაზი, გამოვიყენე ცხრილი და სხვა			
შევასრულე საჭირო მოქმედებები ამოცანის ამოსახსნელად			
დავაზუსტე პასუხი და შევამოწმე ის			

## მოსწავლის პორტფოლიო

მოსწავლეთა პორტფოლიო წარმოადგენს კრებულს, სადაც თავს იყრის მოსწავლის შესახებ ყველა ის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც კონკრეტული მოსწავლის სწავლასა და განათლებას უკავშირდება. პორტფოლიოში კომპაქტურად არის თავმოყრილი ყველა ის დოკუმენტი და მასალა, რომელიც ასახავს მოსწავლის ინდივიდუალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს, მის ძლიერ და სუსტ მხარეებს. პორტფოლიო წარმოადგენს გზამკვლევს მოსწავლის განათლების დაგეგმვისა და წარმართვის პროცესში.

პორტფოლიო ალტერნატიული შეფასების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ მეთოდად ითვლება. შეფასების სხვა ფორმებისგან პორტფოლიოს ორი ნიშნით განასხვავებენ: პირველი – მასში ნამუშევრები გროვდება განსაზღვრული ხნის განმავლობაში, რაც საშუალებას იძლევა, თვალი მივადევნოთ მოსწავლის პროგრესს; მეორე – პორტფოლიო რთავს მოსწავლეებს მომზადების, შეგროვებისა და შეფასების პროცესში.

პორტფოლიოში მასალებს ამატებენ როგორც მოსწავლე, ისე მასწავლებელი. ამ მასალების თავმოყრა შეიძლება საქაღალდეში, ყუთში ან, უბრალოდ, თაროზე. პორტფოლიო იმაზე გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ ქაღალდების შეკვრა ან მისი სათავსი. ის მოსწავლის მუდმივად განვითარებადი აზროვნების შედეგად ნაფიქრი და გამოთქმული მოსაზრებების საცავია. შედარებით რთულად პორტფოლიოს განმარტება ასე შეიძლება: ეს არის კოლექცია, რომელიც ისეა ორგანიზებული, რომ ასახოს და წარმოადგინოს ინფორმაცია მოსწავლის აზროვნების მნიშვნელოვან ნაწილზე, რომელიც მან მასალებზე მუშაობისას გამოიყენა..

პორტფოლიო უნდა შეიცავდეს ყოველგვარ ნაწერს და მასალას, რომელიც უკავშირდება მოსწავლის მიერ შესრულებულ თუ შესასრულებელ სამუშაოს. პორტფოლიოში შეიძლება თავმოყრილი იყოს პირველადი და დაუსრულებელი სამუშაო ვერსიებიც და დასრულებული ნამუშევრებიც, მოსაზრებათა



ჩამონათვალი, მოსწავლის ნახატები და სხვა მასალა. გარდა ამისა, მასში შეიძლება შევიდეს რემედიატორი თუ ძირითადი მასწავლებლის მიერ მიწოდებული ორგანიზაციული, შეფასებითი და ანალიტიკური ჩანაწერები და რჩევებიც, რაც ხელს შეუწყობს და მიმართულებას მისცემს პორტფოლიოს ცალკეული მასალებისა თუ დოკუმენტების ჯგუფების ანალიზს. ზოგი მათგანი ინფორმაციას აწვდის როგორც მოსწავლეს, ისე მასწავლებელსაც. ეს ქაღალდები მოიცავს კონსპექტებს, სარჩევებს, რეზიუმეებსა და შესაფასებელ ინსტრუმენტებს, მოსწავლის, მისი თანაკლასელებისა და მასწავლებლის შენიშვნებს, პორტფოლიოს შინაარსს.

**პორტფოლიოს შემადგენლობაში შედის:**

- სკრინინგული და ფოკუსირებული სადიაგნოსტიკო ტესტები (მოსწავლის ნამუშევრები)
- ფოკუსირებული სადიაგნოსტიკო ტესტირებისა და მოსწავლესთან ინტერვიუს დროს შევსებული ცხრილები ;
- მოსწავლის მშობელთან ინტერვიუს დროს შევსებული ფორმები;
- მასწავლებლის დასკვნა მოსწავლის სასწავლო პროფილსა და საჭიროებებზე-შევსებული ფორმები;
- გაკვეთილებზე დასწრების აღრიცხვიანობა - პროგრამის ბოლოს დასწრების პროცენტული მაჩვენებელი ;
- რესურსის ჩამონათვალი და აღწერილობა, რომელიც მიზნების მისაღწევად არის საჭირო;
- მოსწავლის ნამუშევრების კრებული და თვალსაჩინო მასალა, რომელიც ასახავს მოსწავლის საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართულობას და მიღწევებს. *მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლის ნამუშევრები (წერილობითი, ნახატები) იყოს დათარიღებული და მოწესრიგებულად ჩალაგებული შესაბამისი მიზნის დასადასტურებლად.*
- მოსწავლის შეფასებები, მათ შორის დასახული მიზნების მიღწევისა და პროგრესის შესახებ.

პორტფოლიო გამოყენება როგორც გზამკვლევი მოსწავლის შემდგომი საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვის პროცესში. პორტფოლიო თვალსაჩინოდ უნდა ასახავდეს მოსწავლის სასწავლო პროცესის მიმდინარეობას და სპეციფიკას და გასაგები უნდა იყოს გუნდის ნებისმიერი ახალი წევრისთვის, რომელიც შესაძლებელია ჩაერთოს ან ჩაენაცვლოს რომელიმე პროფესიონალს. პორტფოლიო გასაგები უნდა იყოს ასევე მშობლისთვისაც, რომელსაც აქვს უფლება რეგულარულად გაეცნოს მას და ყოველთვის იყოს ინფორმირებული ბავშვის მიღწევების და საჭიროებების შესახებ. პორტფოლიოს წარმოება საშუალებას აძლევს მშობლებს, მოსწავლის განათლების დაგეგმვის პროცესში მათი ცოდნა, გამოცდილება და შეხედულებები იყოს გათვალისწინებული და იმავდროულად, იძლევა საშუალებას აქტიურად ჩაებან საკუთარი შვილის განათლების პროცესში.

